# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველდღიური გამოცემა.— შაბათი, 17 ივნისი 1900 წ. — № 1154

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ–ბისა

იღებს ყოველგვარ

სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლში

## წარსული წლების ჟურნალი

## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## ახალი ამბავი

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი ა. ს. სტევენი 15 ივნისს, საღამოს, ჩამოვიდა საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში. ბ-ნი სტევენი დაჰყოფს ტფილისში რამდენიმე დღეს და შემდეგ წავა ბათუმს. იქიდან ზღვით წავა სოხუმს.

✦ მიწად მოქმედების მინისტრის თანაშემწე ა. ხ. სტევენმა გუშინ დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი, სააბრეშუმო სადგური, საბაღოსნო სკოლა და სხვა დაწესებულებანი სამიწად-მოქმედო სამინისტროსი.

✦ გუშინ წინ, საღამოზე, ქალაქის თავი იყო საერო-განათლების მინისტრის თანაშემწესთან ტ. ს. ზვერიევთან, რომელიც ქალაქის მოურავს მიეგება ამ სიტყვებით: „მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი სახელოსნო სასწავლებლის დათვალიერებით. ძალიან კარგად გაქვთ მოწყობილი და კარგადაც უმუშავნიათ მოსწავლეთ.“ ქალაქის თავმა ნება-რთვა სთხოვა მინისტრის თანაშემწეს ეს მისი აზრი ოფიციალურად გარდასცეს საბჭოს. ბ-ნმა ზვერიევმა სიამოვნებით დართო ნება.

✦ დღეს, 18 ივნისს, მოხდება **უკანასკნელი** (შემოდგომამდის) **სხდომა** კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოსი.

✦ სოფ. ხიზაბავრაში (ჯავახეთში) ახლად აშენებულ **კათოლიკეთა ეკკლესიას**, როგორც გვატყობინებენ, ამ თვის 25 აკურთხებენ. მამა მიხეილ ვარძელაშვილი, რომლის თაოსნობითაც აშენდა ხსენებული ეკკლესია, საზოგადოებას სთხოვს კურთხევაზე დაესწრნენ.

ეს სოფელი შესანიშნავია იმით, რომ ორასამდე ქართველი კათოლიკე ცხოვრობს, რომელთა შორის მშვენივრად შენახულა წმინდა ქართული მესხური კილო. ამ სოფლის ახლოა შოთას სამშობლო—რუსთავიც, და აკი ამიტომაც ხიზაბავრელი ქართველები დღესაც ისე იცმენ ტანთ და ისე იხვევენ ჩაბალახს, როგორც რუსთაველის გმირნი არიან დახატულნი—ტარიელი და ავთანდილი.

ხიზაბავრელმა დელე პავლიაშვილმა ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“ ზეპირად იცის და კარგი იქნება ვინმე ჩასწერდეს.

✦ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა სამიწად-მოქმედო სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი **სამელიორაციო კრედიტის** ახალის ორგანიზაციის შესახებ. უმთავრესი მუხლები ამ საყურადღებო კანონისა შემდეგია: სამელიორაციო კრედიტის საქმეს აწარმოებს სამიწად-მოქმედო სამინისტროში სასოფლო ეკონომიის განყოფილება. 5000 მანეთზე მეტის სესხის გაცემა შეუძლიან გადაწყვიტოს მხოლოდ ხსენებულ განყოფილებამ, ხოლო 5000 მანეთის ნაკლების გაცემა მიენდობა საგუბერნიო კომიტეტს. სესხი გაიცემა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის: 1) ჭაობების გასაშრობად და უწყლო ადგილებში არხების გასაყვანად; 2) მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად; 3) ტყის გასაშენებლად; 4) ვენახების და ბაღების მოსაშენებლად; 5) ახოების გასაკეთებლად; 6) ღვინის სარდაფებასა და მარნების გასაკეთებლად; 7) ბეღლების, თავლების და საჯოგეების მოსაწყობასაგებად; 8) წისქვილების ასაშენებლად და ერბოს მკეთებელ მანქანების შესაძენად და 9) საქონლის შესაძენად. სესხი გაიცემა 20 წლის ვადით. იმ სესხზე, რომელიც გაიცემა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად, გამოერთმევათ 2%, დანარჩენებზე—4%. სესხი მიეცემა ერობათ, მემამულეთ და სოფლის საზოგადოებათ.

✦ არ იქნა და არ გამოირკვა **ტფილისის თავად-აზნაურთა თეატრის საქმე!** გაზეთებში ერთი-ერთმანერთის საწინააღმდეგო ცნობები იბეჭდება: ხან იმას ვკითხულობთ—ნება დართეს წარმოდგენებისაო, ხან კიდევ იმას—აკრძალესო. უკანასკნელი ცნობა იყო ამას წინად, რომ ნება დართულია წარმოდგენების მართვისაო, გუშინ კი სრულიად საწინააღმდეგოს ვკითხულობთ „კავკაზ“-ში. გაზეთში ნათქვამია, რომ ტეხნიკთა კომისიამ უვარგისად სცნო ელექტრონულ განათების მოწყობა ქარვასლაში, რადგანაც ადვილად შესაძლებელია ცეცხლი გაჩნდესო და ამიტომ წარმოდგენების გამართვის ნება მხოლოდ მაშინ უნდა მიეცესო, როდესაც სრულიად გადააკეთებენ განათებასაო.

დროა, საბოლოოვოდ გამოირკვეს ამ საბრალო თეატრის საქმე და მიღებულ იქმნას ზომები მის გახსნისათვის! როგორც ისმის, განათების მოწყობა სათავად-აზნაურო კომისიას გადაუცია საელექტრონო ფირმისთვის „უნიონ“. ვისურვოთ, რომ ეს საქმეც მალე განხორციელებულიყოს და სხვა დაბრკოლებაც მალე იქმნას აცდენილი.

✦ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“ მე-62 ნომერში დასტამბულია განკარგულება იმისი შესახებ, რომ ქ. ფოთს მიეცა ნება გამოსცეს მეორე საობლიგაციო სესხი ორ-მილიონ მანეთისა.

✦ ხუთშაბათს, 15 ივნისს, ღამით, თითქმის ორის თვის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ნაფიცი ვექილი **გაბრიელ სულხანის ძე ტერ-სტეფანოვი.**

✦ **ქალაქის ქუჩებისა და ეზოების** დასაწმენდ ნაგვის საზიდ ურმებისა და ამისათვის ქალაქის მცხოვრებლებზე გარდასახადის შემოღების შესახებ ქალაქის გამგეობისა და კომისიისაგან განხილულსა და დამტკიცებულს პროექტს ქალაქის გამგეობა წარუდგენს ქალაქის საბჭოს ორშაბათს, 19 ივნისს, განსახილველად.

✦ მარგანეცის მწარმოებელთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამთო მმართველობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადა-

დებულ იქმნას ერთი თვით მარგანეცის მწარმოებელთა კრება, ესე იგი, 26 ივნისის მაგიერ დაინიშნოს 26 ივლისისათვის.

✦ გუშინ, 16 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ყოფილ მომრიგებელ-მოსამართლის ნ. დ. ზუბალაშვილისა და ეკატერინე ივანე ზუბალაშვილის ასულის სტაროსელსკისა, რომელსაც ნ. ზუბალაშვილი უჩიოდა, რომ წერილით შეურაცხყოფა მომაყენაო. პირველად ეს საქმე განიხილა ტფილისის მე-2 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ, რომელმაც გაამართლა სტაროსელსკისა. ოლქის სასამართლოში ეს საქმე განასაჩივრა ნ. დ. ზუბალაშვილმა; ოლქის სასამართლომ განიხილა რა მთელი ამ საქმის შესახები გარემოებანი, ორივენი ერთმანეთთან შეურაცხყოფაში დამნაშავედ იცნო და დაამტკიცა მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენი.

✦ ხუთშაბათს, 15 ივნისს, ღამის 11—12 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზე, ს. თამამშევის სახლებს, სადაც სასტუმრო „პალმირაა“ მოთავსებული, **ცეცხლი გაუჩნდა**. ცეცხლი მოედო სახლს ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან ზემო სართულში, სადაც ინჟენერი ბ-ნი მარკოზოვი სცხოვრობს. ცეცხლი უკვე კარგად იყო გაძლიერებული, როცა შეიტყეს და მაშინათვე ტელეფონით შეატყობინეს პოლიციასა და ცეცხლის მქრობელ რაზმს. 12 საათი იქნებოდა, საზაფხულო თეატრიდან მომავალმა ხალხმა შენიშნა ცეცხლი. მაშინათვე შეატყობინეს თამამშევის სახლში მცხოვრებთ, მაგრამ ზოგიერთებმა ყურიც არ გაიბერტყეს; ხალხს უნდოდა დახმარება, მაგრამ რადგან ცეცხლი გაძლიერებული იყო, ველარას ახერხებდნენ. ნაშუალამევის 1 საათზე და 20 წუთზე უკვე გაჩნდა ცეცხლის მქრობელი რაზმი ღ მსწრაფლ შეუდგნენ ცეცხლის ქრობას. მალე მოვიდა ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვალიევი, ავიდა სახლის სახურავზე და განკარგულება მოახდინა—სამი მხრიდან დაეწყოთ ცეცხლის ქრობა. პირველად საკმარისად და დროზე წყლის მიწოდება გაუჭირდათ, რადგანაც ცოტა მოშორებიდან უნდა ეზიდნათ წყალი, მაგრამ მაინც მალე დაიმორჩილეს ცეცხლი და, როგორც იქმნა, ნა შუაღამევის სამ საათამდე ჩააქრეს ცეცხლი. ბ-ნი პოლიცმეისტერი ფარნით ხელში თვით უწევდა ხელმძღვანელობას ცეცხლის მქრობელ რაზმს და მხოლოდ მისს სიმამაცესა და დაურიდებლად ცეცხლთან ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ცეცხლისაგან, ამისთანა ძლიერ ქარში, მოსალოდნელი დიდი უბედურება მთელ იმ კუთხეს აშორდა. როგორც ამბობენ, ცეცხლის გაჩენის მიზეზი ის ყოფილა, რომ ჩარდახის ერთ პატარა ოთახში, ინჟენერის მარკოზოვის მოსამსახურე-მოსარეცხე ქალი ტანისამოსს აუთოვებდა თურმე, რომელსაც უთოს გასახურებელი მაყალი დარჩენოდა და იქიდან სახლის ზემო-სართულს ცეცხლი მოედვა. ზარალი დაწვრილებით ჯერ არ იციან. კაცის თავზე არაფერი უბედურება არ მომხდარა. ცეცხლის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

✦ ტფილისის საგუბერნიო მმართველობას გადაუწყვეტია უფასოდ დაუთმოს სოფლებ ახალ-დაბას, ნეძვსა და ჰაჰარაკს (გორის მაზრა) **გორის ბორანი**. ამ სოფლებმა თავის ხარჯით უნდა წაიღონ ახალს ადგილას ეს ბორანი, მიაწყონ იგი და უფასოდ გადაიყვანონ ხოლმე მგზავრები.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**15 ივნისი**

**შანხაი.** „დიდმა მუშტმა“ დააქცია სამხედრო სკოლა მუკდენში, მანჯურიაში; მათ წინააღმდეგ გაემართნენ რუსები.

**ჩიფუ.** უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ რუსებმა წაართვეს ჩინელებს ტიანცზინში არსენალი ზარბაზნების ცხარე ბრძოლის შემდეგ. იმ ჯარს, რომელმაც ტიანცზინი გაანთავისუფლა, ჰქონდა 6 ზარბაზანი.

**ჰონკონგი.** ყველა უცხოელებმა წინადადება მისცეს ინგლისს—დაგვეხმარებით ახალშენის დაცვის საქმეშიო, თუ საჭიროებამ მოითხოვაო.

**შანხაი.** ჩინეთის მოხელენი აღიარებენ, რომ უცხოელთა წინააღმდეგ აჯანყება მანჯურთა პარტიის საქმეაო და რომ მასთან ჩინელთ არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეთო.

**ლორენცო მარკეზი.** ტრანსვაალიდან მოსულ ცნობით, დიდძალი ბურთა ჯარი ამაგრებს ბანაკს მიდელბურგის იქეთა მდებარე მთებზე.

**სიმლა.** ჩინეთში გასაგზავნი ინგლისელი ჯარი შესდგება: 223 ოფიცრისაგან, 308 უნტერ-ოფიცრისაგან და 9540 ჯარის კაცისაგან; ამას გარდა იქეთ იგზავნება ინდოელი ჯარიც, 7170 კაცისაგან შემდგარი. ამ ჯარებს ეყოლება 1280 ცხენი და 2060 ჯორი, 6 დიდი ზარბაზანი და 11 ზარბაზანი მაქსიმის სისტემისა.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის უფროსი იტყობინება, რომ უცხოელთა ელჩები ჩინეთში საერთაშორისო ჯარში იმყოფებიანო.

---

## სამეცნიერო ცნობა

~~

### უზპვილის აცრა და დ—რი ჯენნერი

### III

ჯერ კიდევ, როცა ექიმობას სწავლობდა ჯენნერი ზოდბიურში, მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ამბავმა. მის მასწავლებელ ექიმთან მივიდა ერთხელ ერთი გლეხის დედა-კაცი. ექიმმა მისი ავადმყოფობა ყვავილად აღიარა. ქალი კი უარს ამბობდა: მე რამდენი ხანია, მოხდილი მაქვს ძროხის ყვავილი და ვინ მოსწრებია, რომ ძროხის ყვავილს შემდეგ ბუნებრივი შეჰყროდესო! ამას ისე დაბეჯითებით ეუბნებოდა ექიმს ეს დედაკაცი, თითქოს უცილო ჭეშმარიტებას ლაპარაკობდესო. ამ ამბავმა ძალიან გაიოცა ჯენნერი. სიტყვებმა—„ვინ მოსწრებია, ძროხის ყვავილში მოხდილს, ბუნებრივი შეყროდესო“, ისე ღრმად გაურბინეს მას გულში, რომ მთელი მისი არსება შეიპყრეს. ჯენნერი ძრიელ დაფიქრა ამ ამბავმა. იგი ამბობდა: ძროხის ყვავილი ბუნებრივისაზე ცხრაჯერ უფრო იოლად მოსახდელია და ადამიანს არასფერსა ვნებს; ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მას კაცი მოეკლას. ამასთანავე, თუ იგი ბუნებრივის ყვავილისაგანაც იცავს ადამიანს, როგორც ეს დედა-კაციც ამბობს, განა არ შეიძლება, რომ განგებ აღვძრა იგი ადამიანის სხეულში და ამით სამუდამოდ დავიფარო იგი ამ საოცარის სახადისაგანაო?

სულ პირველად ამნაირად აღიძრა ეს კითხვა. მერე, ლონდონში ყოფნის დროს, ჯენნერმა თავის აზრი გენტერს გაანდო. გენტერმა დიდის სიამოვნებით მოისმინა თავის მოსწავლის მოსაზრება და წააქეზა, რომ უფრო გულ და გულ შესდგომოდა ამ საქმის შემუშავებას. ხანდახან ჯენნერი სხვა ლონდონელ ექიმებსაც ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს ამ საგანზე, მაგრამ მათ არა სჯეროდათ.

ჯენნერი კი მაინც თავისას არ იშლიდა და გატაცებით ამტკიცებდა თავის აზრს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უფრო გულდა-გულ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. ახლა ჯენნერი ხშირად დადიოდა საქონლების პატრონებთან და მათგან ტყობილობდა ხოლმე ყვევლაფერს ძროხის ყვავილის შესახებ. თვითონაც იკვლევდა და გამოცდას ახდენდა. ამნაირად ჯენნერმა ბევრი გარდმონაცემები და ხალხში გავრცელებული ამბები შეიტყო ძროხის ყვავილის მოქმედებაზე. მაგრამ აქ კიდევ სხვა ახალი საძიებელი გამოჩნდა. აღმოჩნდა, რომ საქონლის ყოველი მუწუკი ძროხის ყვავილი არ იყო. ხშირად ეს მუწუკები სულ სხვა სნეულებას ჰნიშნავდნენ. ამისათვის საჭირო იყო ჯენნერს შეესწავლა ყოველ ნაირი საქონლის ჭირი, რომ ნამდვილად ეცნო ძროხის ყვავილი. ჯენნერი დღე და ღამ სულ ამის შეტყობაში იყო და ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. ახლა იგი ერთის შეხედვით იცნობდა ნამდვილს ძროხის ყვავილს. მაგრამ ამის შემდეგ კიდევ ახალი დაბრკოლება აღმოჩნდა. ამბობდნენ, რომ ყოველთვის არც ნამდვილი ძროხის ყვავილი იფარავს ადამიანს ბუნებრივი ყვავილისაგანო და ამის მაგალითებსაც ასახელებდნენ. ბოლოს, როგორც იყო, ამ დაბრკოლებასაც სძლია ჯენნერმა და შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა: ძროხის ცურზე გაჩენილი მუწუკი აუცილებლად უნდა დამწიფდეს, რომ ჩირქმა მთელი სხეული დაიფაროსო ბუნებრივ ყვავილისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო იმ ადგილს დაიფარავს, სადაც ხორცს გასჭრიან და ჩირქს ჩაუშვებენო. ამის კვლევაში რომ იყო, ჯენნერი ხანდახან სიტყვას ჩამოუგდებდა ხოლმე თავის ამხანაგ-ექიმებს, რომ მათგანაც შეეტყო რაიმე ძროხის ყვავილზე. მაგრამ მათ არაფრის ახალის თქმა არ შეეძლოთ, რადგან ძროხის ყვავილის არაფერი გაეგებოდათ. ამიტომ ჯენნერის საუბარს პირს არიდებდნენ ხოლმე და მის მეცნიერულ შრომას უსარგებლოდ სთვლიდნენ. თვითონ ჯენნერი მათ თვალში მეტიჩარა და მატყუარა კაცი იყო. ხშირად უსიამოვნობაც მიუყენებიათ ხოლმე ჯენნერისათვის და ერთხელ კი თავის წრიდან გაგდებაც დაუპირეს. მაგრამ ამით ჯენნერს წარბიც არ შეუხრია: იგი მაინც გულ და გულ ეწეოდა თავის საქმეს, მაგრამ გულჩახვეულად კი. მას უნდოდა ეს საგანი ჯერ საკმაოდ შეესწავლა და მერე საზოგადოებისათვის წარედგინა ყოველის მხრით შემუშავებული და უცილო.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1153.

**ლონდონი.** რუსის ადმირალის ცნობას „რეიტერის სააგენტო“ უმატებს, რომ სეიმური განთავისუფლებული არისო. სეიმურმა ვერ გაიკაფა გზა იაპონიისაკენ და ტიანცზინში ბრუნდება. მისი ჯარი ძალიან დაზარალებულია.

პეკინთან მდგომ ჯარის რიცხვი 60.000-მდე ადის. ყოველ მხრიდან იქვე გროვდებიან „დიდი მუშტის“ მომხრენი.

**გააგა.** მეორე პალატამ დაამტკიცა სამშვიდობო კონფერენციის კონვენცია იმის შესახებ, რომ ჟენევის კონვენციას ძალა ჰქონდეს საზღვაო ომშიაც.

**შანხაი.** ტიანცზინში მყოფი გერმანელნი უვნებლად არიან.

**იოკაჰამა.** მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ჩინეთში 20.000 კაცი.

**ბერლინი.** როგორც იტყობინებიან 12 ივნისს, ტიანცზინში ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა, რადგანაც გამაგრებული არსენალი, ქალაქს გარედ არსებული, ჯერ კიდევ ჩინელების ხელშია.

**შანხაი.** ჩიფუდან იტყობინებიან, რომ 1000 იაპონელი ჯარისკაცი მივიდა ტაკუს; ამ დღეებში კიდევ მოვა 2,000 იაპონელი და ერთი ბატალიონი საფრანგეთის ქვეითა ჯარისა.

**ტოკიო.** იაპონიის პოლიტიკას საგნად აქვს მხოლოდ თავის ინტერესების დასაცველად იმოქმედოს; მაგრამ საზოგადო აზრი თხოულობს, რომ იაპონიამ, მომავალის უზრუნველყოფისათვის, ევროპის სახელმწიფოებთან თანხმობით იმოქმედოს.

**იოკაჰამა.** იაპონიამ დაიქირავა 35 გადამზიდავი გემი.

**შანხაი.** კონსულებმა ერთხმად მიიღეს თხოვნა იანცეს მოსაზღვრე პროვინციების მმართველებისა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი თვით აღადგენენ და დაიცავენ თავიანთ პროვინციებში წესიერებას, თუ უცხოელნი არ ჩაერევიან საქმეში, სანამ მათი ინტერესები არ იქნება შელახული.

**ლონდონი.** იტყობინებიან, რომ ლი-ხუნგ-ჩანგი კვლავ დაიბარეს პეკინშიო. მისი მტრები აცხადებენ, რომ მოჰკვლენ მას, სანამ პეკინში მივიდოდეს.

### 16 ივნისი

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალმა ალექსეევმა დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს, რომ ექსპედიციის რაზმს ჩინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოუვიდა შემდეგი ზარალი: მოკლულია მე-12 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელ პოლკის პოდპორუჩიკი ზიოლკოვსკი, მძიმედ დაჭრილია პოდპორუჩიკი პოპოვი, მსუბუქად—კაპიტანი მეშაზენსკი, შტაბს-კაპიტანი კოტიკოვი, პორუჩიკი სენკო-პოპოვსკი და პოდპორუჩიკი მაკაროვი; ჯარის-კაცთაგან მოკლულია ერთი, დაჭრილი 150 კაცი.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ კვანტუნსკის ოლქის ჯარების უფროსს, ვიცე-ადმირალს ალექსეევს, მიეცა ნება უფროსობა გაუწიოს მთელს კორპუსს ომიანობის დროს.

**შანხაი.** ტიანცზინში მომხდარ ამბების შესახებ ცნობები გაზვიადებულია.; ზარალი უმნიშვნელოა.

**ჩიფუ.** სეიმური იმყოფება ტიანცზინში. სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. უცხოელთა ზარალი მცირეა.

**ლონდონი.** იტყობინებიან 19 ივნისს, რომ უცხოელთა ელჩებმა პეკინში მიიღეს თავისი „პასპორტები“. გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს შემდეგს: ნანკინის ვიცე-კოროლმა გაუგზავნა დეპეშა ინგლისის კონსულის თანამდებობის აღმასრულებელს შანხაიში რომ, 25 ივნისის მიწერილობის თანახმად, უცხოელთა მისსიებს პეკინში მფარველობას უწევს მთავრობა, როგორც ამას თხოულობს ჩინელთა ზნე-ჩვეულება.

**ჩიფუ.** ჩინეთში 12,000 კაცია უცხოელთა ჯარებისა.

**ვეი-ხაი-ვეი.** რკინის გზით მიმოსვლა შეიძლება მხოლოდ რვა მილის მანძილზედ ტიანცზინიდან ჩრდილოეთით, იმის იქით-კი გზა გაფუჭებულია.

**ვაშინგტონი.** მე-9 პოლკი, ჩინეთში გაგზავნილი, შესდგება 39 ოფიცერისა და 1,271 ჯარის კაცისაგან.

**ტოკიო.** იაპონიამ გარდასწყვიტა ყოველ შემთხვევისათვის საომრო ფეხზედ დააყენოს ერთი დივიზია. ეს გამოიწვია ჩინეთში საქმეების არევ-დარევამ და არა იმან, ვითომც იაპონიას გადაეხვიოს იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც იგი დაადგა ჩინეთში ამბოხების დაწყებისათანავე.

**ლონდონი.** პალატა. კიმბერლეის კითხვაზედ მარკიზ სალისბიურიმ განაცხადა: „როგორც ვიცით, სეიმური განთავისუფლებულია და საშიშ მდგომარეობაში აღარ იმყოფება. რაც შეეხება ჩვენ ელჩს და სხვა მოხელეებს როგორც ჩვენის, ისე დანარჩენ სახელმწიფოთა საელჩოებისას, მათ შესახებ დაწვრილებით არაფერი ვიცით, მაგრამ, საიმედოა, არაფერი ცუდი არ დაჰმართვიათ. ყოველის მხრით დაუყოვნებლივ იგზავნება იმდენი ჯარი, რამდენის შეგროვებაც კი მოსახერხებელია.“

**პარიჟი.** პალატა. ნაციონალისტმა ფირმენ-ფორმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ სამხედრო მინისტრმა ანდრემ უმთავრეს შტაბში ზოგიერთ ოფიცრების დანიშვნით დაარღვია წეს-რიგი, რომლითაც შტაბში მოსამსახურეთა დანიშვნა უნდა მოხდეს ხოლმე უმთავრეს შტაბის უფროსის სურვილის თანახმად. ორატორი საყვედურს უცხადებს ანდრეს, რომ მან შტაბში გაამწესა პიკარის მეგობარი აფიცრები. დელანნმა ისარგებლა თავისი უფლებით და არ მიიღო შტაბში მინისტრისაგან გამწესებული ოფიცრები. დელანნმა თხოვნა შეიტანა სამინისტროში სამსახურიდან გამოსვლის შესახებ, მაგრამ ამით მას პროტესტის გამოცხადება კი არ ჰსურვებია. ანდრემ უბრძანა დელანნს, არ დაენებებინა თავი სამსახურისათვის, და დელანნიც დაჰმორჩილდება ბრძანებას, როგორც შეჰფერის მეომარს. მინისტრმა ასე დაათავა თავისი სიტყვა: „მე გავიხადე მიზნად საქმე იმ ფეხზე დავაყენო, რომ ყველა პატივს სცემდეს და ემორჩილებოდეს სამხედრო წესიერებას, და თუ მიზნის მისახწევად საჭირო იქმნება სასჯელი, მე იძულებული ვიქნები სასჯელსაც მივმართო ხოლმე.“ ანდრემ თავისი სიტყვა დაამთავრა მხედრობის შექებით. პალატა შემდეგ შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . 1 | გ. | 10 | კ. |
| სუკი . . . . . | » | — | 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | 8½ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 | კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 8 | კ. |
| » ღორის ზარკალი სალორქო . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | » 6 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. კ. | მ. კ., | |
| | 1 | 1 | 30120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 — |
| ქერი . . . . . | 1 | 1 | 1—5— |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80—— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20—— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10—— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60—— |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 60—— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50—— |
| თივა . . . . . | 1 | — | 30—— |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 28—— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. 25 კ. | № 4 | —7 » 25 » |
| № 1 | —8 » 50 » | № 5 | —7 » — » |
| № 2 | —8 » — » | № 6 | —6 » 75 » |
| № 3 | —7 » 50 » | № 7 | —6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსიისკში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი ილდიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მექქსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, 1900 წ. 28 ივნისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით უნდა გაიცეს ქალაქის მამულის ერთი ნაჭერი მიწა მე-7 ნაწილში, ავლაბარში; მიწა ზომით არის 23 დესეტინა, კარგ ბაჯის მოსამზადებლად.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. ნ (3—2)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | სახერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტე | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.